№ 164 აგვისტო 3, სამშაბათი 1893 აგვისტო 3, სამშაბათი № 164

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## ხოზის მონასტერთან

10—15 აგვისტოსათვის მზადდება მოვაჭრეთათვის კარვები. კარვების ქირა წინანდელთან შედარებით ნაკლები იქმნება.

---

ტფილისი, 2 აგვისტო

მიწად-მომქმედს, ხვნა-თესვის, ვენახისა და სხვა ამისთანას მიმდევარს ორ გვარი გაჭირება აქვს თავის საქმის კარგად მოწყობისა და წარმატებისათვის. ერთგვარი გაჭირება იმისთანა ბუნებურ თვისებისაა, რომ ხანგრძლივად ფულის დაბანდებას თხოულობს სახარჯოდ და ამასთან დახარჯული ფული ერთბაშად-კი აღარ უბრუნდება, არამედ ნაწილ-ნაწილ იმოდენა ხნის განმავლობაში, რომ ამ ნაწილ-ნაწილობით მობრუნებულმა ფულმა თავნი და სარგებელი დახარჯულისაააყენოს და მიწათ-მომქმედსაც თავისი მოგება რამ მისცეს. მაგალითებრ, მიწის განკარგებას, მის ნაყოფიერების და მომცემის ძალის გაძლიერებას, ახოს გამოღებას, ვენახის გაშენებას და სხვას ამისთანას კარგა ხარჯი უნდა და დიდი დრო, რომ ნამოქმედარმა თავნი და სარგებელი დაუბრუნოს მომქმედსა ნაწილ-ნაწილ მაინც.

ამ გვარს სამუშაოსათვის მიწად-მომქმედს ან თავისი საკუთარი ფული უნდა ჰქონდეს, ხანგრძლივად თავისუფალი და სხვა საჭიროებისაგან მოცლილი, ან სხვის ფული უნდა ისესხოს ხანგრძლივის ვადითა, ნაწილ-ნაწილ მოსაშორებელი.

ამ გვარს სესხს იძლევა ერთგვარი კრედიტი, რომელსაც საადგილ-მამულო კრედიტს ეძახიან და რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ხანგრძლივიც არის და ნაწილ-ნაწილად მოსაშორებელიც. ამ გვარი კრედიტი, დიდიხანია, უკვე არსებობს რუსეთის იმპერიაში და ამ კრედიტის ბანკები საადგილ-მამულო ბანკები არიან. ამ მხრით ერთ-გვარი გაჭირება მიწად-მომქმედისა, ასე თუ ისე, იოლად მიდის რუსეთში.

ხოლო მეორე გვარი გაჭირება მიწად-მომქმედისა, რომელიც დღე მუდამ ფულსა თხოულობს საყოველდღეო რჩენისა და მუშაობისათვის და რომლის ხანაც მარტო მოსავლიდამ მოსავლამდეა, სრულიად უნუგეშოდ იყო დარჩენილი ამ ბოლოს დროებამდე. ეს მოსავლიდამ მოსავლამდე წარმოება მიწად-მომქმედისა იმისთანაა, რომ ხარჯს თავის თავნ-სარგებლიანად და მოგებით ერთის წლის განმავლობაში უბრუნებს ერთიანად და არა ნაწილ-ნაწილ. ამიტომაც მიწად-მომქმედს თვითონ მისი წლიური წარმოება ღონისძიებას აძლევს დახარჯული წლიურ წარმოებისათვის ფული ერთის წლის განმავლობაშივე თავის თავნ-სარგებლით და მოგებით დაიბრუნოს, თუ რამ განსაკუთრებული უბედურება არ ეწვია, მაგ. ცეცხლი, გალია, სეტყვა და მებრვე სხვა. ამ გვარს გაჭირებაში ხელის გასამართავი მოკლე ვადიანი კრედიტია, რომლის თვისებაც ის არის, რომ მოკლე ხნობით იძლევა სესხად ფულს იმ პირობით, რომ ერთხანად და ერთბამად ფული პატრონს თავის ვადაზე დაუბრუნდეს.

ამისთანა კრედიტი ჰქონდათ დღეს აქამომდე ვაჭრებს, იმიტომ-რომ ვაჭრობის სატრიალებელი ხანა მოკლე ვადიანია და ექვსისა თუ ცხრა თთვის განმავლობაში თავნი და სარგებელი თავის მოგებით უკუვ ბრუნდება და ამით ვაჭარს ღონე ეძლევა ნასესხი ფული გაუჭირებლივ მოიშოროს თავის თავნითა და სარგებლით. ამისთანა კრედიტს აწარმოებენ ეგრედ წოდებულნი საკომერციო ბანკები, ანუ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებანი. აქ ვადა სესხისა ან ექვსი თთვეა, ან ცხრა, და იმ პირობით, რომ თავნი ვადაზე ერთბამად გადასახდელია და არა ნაწილ-ნაწილ.

მეორე გვარი გაჭირება მიწად-მომქმედისა ამისთანავეა, როგორც ვაჭრისა, ხოლო მიწად-მომქმედს, როგორც ზემოდა ვთქვით, ამ გაჭირების შესაფერი კრედიტი ამ ბოლოს დრომდე არა ჰქონია. ვაჭარს შეეძლო და დღესაც შეუძლიან თავისი სავაჭრო საქონელი დაუგირავოს მოკლე ვადიან კრედიტის ბანკს და ფულით ხელი გაიმართოს. მიწად-მომქმედი-კი, ბევრი პური, ქერი და სხვა ამისთანა ნაამაგარიც რომ ჰქონოდა, ვერც ერთს ბანკში ამაების დაგირავებით ხელს ვერ მოინაცვლებდა. ამ სახით პური, ქერი და სხვა ამისთანა ნაამაგარი მიწის-მომქმედისა თითქო სავაჭრო საქონლად არ იყო ცნობილი, ვიდრე მიწად-მომქმედის ხელში იყო, თითქო ბაზარში თვითეულს ამასა თავისი ფასი და გასავალი არა აქვს. ეგრე უნუგეშოდ დარჩენილი ნაამაგარი მიწად-მომქმედისა, ვიდრე გაიყიდებოდა, არაფრად გამოსადეგი იყო გაჭირებულ პატრონისათვის, რომელიც უფულობის გამო იძუ-[illegible] ეყიდნა, ან მამასისხლად ფული სადმე ესესხნა, რადგანაც უფულობის გამო თავისი წლიური წარმოება უნდა შეეყენებინა, თუ ფულს საყოველდღეო სარჩენად და სამუშაოდ ვერ იშოვიდა.

როგორც ეტყობა, ამ უნუგეშობას მიწათ-მომქმედისას მთავრობამ ამ ბოლოს დროს ყური ათხოვა და მის აცილებას შესდგომია. 26 მკათათვეს დეპეშამ გვაცნობა, რომ უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო ბანკს ნება დართვია კერძო საკომერციო ბანკებს სესხად ფული აძლიოს პურზედ გასაცემად. კერძო ბანკები მოვალენი არიან აძლიონ სესხად ფული შესუბუქებულ სარგებლითა და ამისათვის უფრო დიდი ბაზრები პურის ვაჭრობისა ორ რიგად განყოფილ უნდა იყვნენ: პირველ რიგის საბაზრო ადგილას $5^1/_2$ სარგებელი უნდა ახდევინონ სესხის ამღებს და მეორე რიგისას $6\%$. იმ ადგილებში, საცა პურის ვაჭრობა ეგრე დიდი არ არის, შესაძლოა მეტის სარგებლის ხდევინებაც სესხის ოპერაციისათვის სახარჯოს მიხედვითა. სესხად უნდა ეძლეოდეს არა ნაკლებ იმ ფასის ნახევრისა, რამოდენადაც ადგილობრივ იყიდება მიწის ნამუშავარი. სესხის ვადად დანიშნულია ცხრა თთვეზე არა მეტი. გარდა ამისა ბანკებს ნება დართვიათ გაუხსნან კრედიტი ვექსილებითაც მიწათ-მომქმედთ, მიწათ-მფლობელთ, მიწათ-მოიჯარადრეთ და ვაჭრებს იმ სახით, რა სახით იმართება ხოლმე განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში (специальный текущій счетъ).

ამ გვარი კრედიტი დიდი ნუგეშია მიწათ-მომქმედთა და მიწათ-მფლობელთათვის. ჩვენ არ ვიცით, ამ ახალს წესს კრედიტისას ჩვენშიაც მიეცემა ადგილი თუ არა. სანატრელია, [illegible] შუამდგომლონ, რომ ეს ფრიად საჭირო კრედიტი ჩვენშიაც მიღებულ იქმნას.

მარტო ამ მხრით არ არის ჩვენთვის ეს გვარი კრედიტი მეტად სასურველი. ძირეული საფუძველი ამ გვარის კრედიტისა იმედს გვაძლევს იმისას, რომ შესაძლოა ჩვენ თვითონ გავიმართოთ იმისთანა მოკლე ვადიანის კრედიტის ბანკი, რომელიც ღონეს და სახსარს მოგვცემს ჩვენს უკრედიტობით გაჭირებას წამალი რამ დაედოს. თუ მთავრობამ შესაძლოდ დაინახა, ფული აძლიოს სახელმწიფო ბანკიდამ კერძო საკომერციო ბანკებს პურზე გასაცემად, ჩვენ რატომ აღარ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მაგ წყალობას ჩვენზედაც მოიღებს, თუ ცალკე საკრედიტო დაწესებულებას რასმე მოვიხერხებთ და შევუფერებთ ამ ახალს წესს. ეს აქამომდე, თუ გვაბრკოლებდა რამ ამ გზაზე—ეგ უფულობა იყო. ეხლა თუ მიწის ნამუშავარზედ გასაცემად სახელმწიფო ბანკი ფულს მოგვანდობს, ეგ უმძიმესი დაბრკოლება აცილებული იქნება.

დღეს ხშირი ლაპარაკია ჩვენში, რომ ერთი იმისთანა საკრედიტო დაწესებულება ავიჩინოთ, რომელიც ზემოდ ხსენებულს მეორე გაჭირებას მიწათ-მომქმედისას როგორმე გაუძლვეს. ამას დიდი ფული უნდა ძირის ფულად, რომ მის თავდებობით სხვა თავისუფალი და წარმოებისაგან მოცლილი ფული მოიწვიოს კრედიტის სამოქმედოდ. ამ დიდს ფულს ჩვენ ძნელად სადმე ვიშოვიდით და ამიტომაც ყოველი ლაპარაკი მოკლე ვადიან საკრედიტო დაწესებულების ასაჩენად ამ დაბრკოლებას უნუგეშოდ ზედ წააწყდებოდა და ვერას გზით გვერდს ვერ აუქცევდა ხოლმე. ეხლა-კი, რაკი სახელმწიფო ბანკმა თავისი კარი გაუღო ამ გვარს გაჭირებას და ფულ[illegible] დაინახა, ადვილად საფიქრებელია, რომ ამ მხრით ჩვენც გზას გავიხსნით, თუ საკმაოდ ხერხს და ბეჯითობას გამოვიჩენთ.

ესეა, თუ ისე, ამ ახალს და ფრიად სანუგეშო გარემოებას კარგად ჩაფიქრება, ცოდნით და გონიერებით ხელის მიწვდენა უნდა ჩვენის მხრით და ჩვენ ესეც გვგონია, რომ ჩვენი სურვილი მოკლე ვადიან საკრედიტო დაწესებულებისა ამ ახლად დადგენილ წესში მოიპოვებს თავის გზას განხორციელებისას. ამ მხრით ეს ახალი წესები დიდად საყურადღებონი არიან ყოველ იმათთვის, ვინც ჰფიქრობს და ჰზრუნავს მოკლე ვადიან კრედიტისავთის ჩვენში ჩვენდა გამოსაყენებლად.

---

# ფელეტონი

## ინგლისის საზოგადო ცხოვრება

(წერილი ლონდონიდამ)

დიდისა და ღრმა ინტერესით არის სავსე ეხლანდელი ცხოვრება ინგლისისა. ისტორიისა და ცხოვრების მცოდნენი ამბობენ, რომ ამისთანა არა ყოფილა-რა კრომველისა და მილტონის შემდეგაო: არც აგიტაცია პურის კანონების წინააღმდეგ, არც ჩარტიზის მღელვარება და არც თავგამოდება რეფორმისათვის რობერტ პილის მინისტრობაში ისე მწვავედ არა ხვდებოდა დიდსა და დარბაისელ ინგლისელს, როგორც ამბები ამ უკანასკნელის ექვსის წლისა და როგორც ბედი Home Rul-ისა ირლანდიისათვის. ყველა დასნი და საზოგადოებანი საკვირველს ენერგიას იჩენენ. კლუბემი და სალიტერატურო დაწესებულებანი, კოოპერაციები და სავაჭრო საზოგადოებანი, კორპორაციები ქალაქებისა და Trades unions სამღვდელოება და დედაკაცთა ამხანაგობანი, ლონდონსა და პროვინციებში, ირლანდიასა და შოტლანდიაში, ყოველივე და ყოველგან უკანასკნელ ღონის-ძიებასა ხმარობენ, რომ ან დაამარცხონ და ან გამარჯვება მიანიჭონ „დიდებულ მოხუცის“ სამინისტროს პოლიტიკას.

არც საკვირველია, მკითხველო, რომ გლადსტონის პოლიტიკამ ასე ღრმად შეარყია და შეაშფოთა მიმდევარნი, ძველის წეს-წყობილებისა, რომელიც დიდად ხელს უწყობს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ბედმა არგუნა მართვა და გამგეობა ქვეყნისა. პოლიტიკა ამ საოცარის მოხუცისა განახლებაა არა მარტო ირლანდიისა, არამედ განახლება და გადახალისებაა თვით ინგლისის ცხოვრებისა და ინგლისის საზოგადო ურთიერთობისათვის. ეხლანდელის კაბინეტის მოწინააღმდეგეთ კარგად იციან, რომ ირლანდიის ავტონომიას ზედ მოჰყვება საადგილ-მამულო რეფორმა და ცვლილება წარმოების წესებისა, ზედ მოჰყვება გადაკეთება ადგილობრივ თვით-მმართველობისა არა მარტო შოტლანდიისა და ვალისისათვის, არამედ თითოეულ საგრაფოსა და სამრევლოსათვის, ანუ, როგორც აქ ამბობენ,—ვესტრისათვის. ეს მოწინააღმდეგენი მარტო ტორიები და ძველებური კონსერვატორები როდი არიან. არა, იმათ რაზმებში სდგანან გუშინდელი ლიბერალებიცა—ჩემბერლენი, გარტინგტონი და მათი მეგობრები; სდგანან რადიკალები და, ასე გასინჯეთ, საეჭვო სოციალისტებიცკი, სდგანან ისეთნი მსწავლულნი, როგორნიც არიან ტინდალი და გექსლი, როგორიც არის კოვენი,—ეს ოდესმე დიდი მეგობარი და ამხანაგი მაძინისა, გარიბალდისა, ლედრიუ როლენისა და ლუიბლანისა. იმათ კარგად ესმით, რომ დიდებული მოხუცი, რომლის მზე თუმცა გადახრილა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩასვენებულა, ხეირს არ დააყრის, ძირს დაამხობს. ეს არის მიზეზი, რომ ბევრს ასეთი საშინელი სიძულილი აქვს პირად გლადსტონისა.

ვერ წარმოიდგენთ, რაოდენად ძლიერა სძულთ პირად გლადსტონი ოპოზიციისა და კონსერვატორების მომხრეთა. თვით ყოვლად-ზრდილნი, გუშინდელი მინისტრები და ელჩები, დარბაისელნი კარის-კაცნი და ნამდვილი არისტოკრატები,—ეს ვითომ განხორციელებულნი დარაჯნი ზრდილობისა და ჯენტლმენობისა—სრულიად თავს ვეღარ იკავებენ და, როგორც პატარა ბალღნი, ისე სცდილობენ არ ალაპარაკონ პარლამენტში, პირში ვარდებიან, სიტყვას აწყვეტინებენ, უსტვენენ, უშტიალებენ, ფეხებს აბრახუნებენ განგებ, როცა გამოჩნდება სადმე საზოგადოებაში. ასე მოხდა მაგალითად, როცა უელსის პრინცს დარბაზობა ჰქონდა იმპერიის ინსტიტუტში. ამ დარბაზობას დაესწრო, სულ [illegible]ტა, 25 ათასი კარის კაცი და დი[illegible]ებული. როცა შევიდნენ მეთაურნი ოპოზიციისა და კონსერვატორებისა, დამსწრენი დიდის ამბითა და [illegible]ალიდით მიეგებნენ. მაგრამ, აი, [illegible] ალეობისამებრ მთავრობის მოთავესი, პრინც

# ახალი ამბავი

*** გუშინ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ ქალაქის სამკურნალოში დაათვალიერა ხოლერით ავადმყოფნი.

*** ივლისის 27-დამ მარიამობის თთვის პირველამდე ავად გახდ 11 კაცი, რომელთაგანაც, როგორც სჩანს ოფიციალურ ცნობებიდგან, ექვსი გარდაცვლილა.

*** ბ-ნმა პოლიცმეისტერის მოადგილემ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, რომ უდეზინფექციოდ ნუ გაატარებთ იმ ეტლებს, რომელთაც საეჭვო ავადმყოფი მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფთა სამკურნალოშიო.

*** ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ განკარგულება მოახდინა, რომ გერმანელთა სარწყავ არხიდგან არავინ არ იხმაროს წყალი ხილის გასარეცხად ანუ მოსარწყველად, რადგანაც ეს არხი დიდუბეზეა გამოყვანილი, სადაც ამ დღეებში რამდენიმე კაცი მოკვდა საეჭვო გულის რევით და ფაღარათობით.

*** ტფილისის სხვა-და სხვა ნაწილში თანდათან ვრცელდება საეჭვო ავადმყოფობა, ხოლერის მინაგვარი. ზოგი ავადმყოფი ერთ დღესაც ვერა ცოცხლობს. პოლიცია და ქალაქის სასანიტარო დასები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამისთანა ავადმყოფობას და, ამბავი დეზინფექციას აკეთებენ იმ სანაღვებში, სადაც ავად გამხდარა ვინმე. ავადმყოფებს საავადმყოფოში ჰგზავნიან. ამას გარდა ხორაგეულს და ხილეულობას სინჯავენ, უვარგისს მაშინადვე ჰყრიან. სასანიტარო დასებს ბჰობა ჰქონდათ ამ ავადმოფობის გამო და, სხვათა შორის, გარდასწყვიტეს ქალაქის სხვა-და სხვა ადგილს საჩაიები გავმართოთ, როგორც შარშან იყოვო: თათრის მოედანზედ, დიდუბეში, ვერაზედ და სხვა. ავლაბარში დაარსებულ იქმნება უფასო სასადილო, სადაც ღარიბთ მიეცემათ ყოველ დღე წვნიანი საჭმელი და პური. ამისათვის ჯერ-ჯერობით საკმარისია შარშან გადანარჩენებული 2000 მანეთი. ნაბრძანები აქვთ პოლიციის ბოქაულებს და სასანიტარო დასებს ყოველივე შარშანდელი ადმინისტრაციის განკარგულება, ქალაქის გასუფთავების

შესახებ, მტკიცედ შეასრულებინონ მცხოვრებთ.

*** კვირას, 1 აგვისტოს, ნიკოლოოზ ზებედეს ძე ცხვედაძე ბათუმს გაემგზავრა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლისათვის საკუთარ შენობის აგების თაობაზედ.

*** ჩვენ მოგვივიდა 20 მან., 22 ივლისს ბანძას (სენაკის მაზრა) გამართულ წარმოდგენიდგან შემოსული, დანიშნულებისამებრ გარდასაცემად.

*** ჩვენ მოგვივიდა ს. თიანეთიდგან 28 მკათათვეს გამართულ წარმოდგენისაგან შემოსული შოთა რუსთველის ძეგლის ასაგებლად 16 მან.

მოგვივიდა აგრედვე ქ. ახალქალაქიდგან იმავე დანიშნულებისათვის, შეკრებილი 10 მან. აი შემომწირველთა სია: მამედ ალიბეგ ფალავანდიშვილმა—3 მან., მუსტაფა-ბეგ ფალავანდიშვილმა—1 მან., პ. ჯავრიშვილმა—1 მან., ი. როსტომაშვილმა—1 მან., ი. რაზმაძემ—1 მან,, ი. ბალუაშვილმა—1 მან., ი. სანაყოევმა—1 მან. და ვ. ლომინაძემ—1 მანეთი.

ამ ფულისა გვქონდა 70 მან. 75 კაპ. ეხლა შესდგა 96 მან. 75 კაპ.

*** რუსეთში 1890 წელს საავადმყოფოებზედ დახარჯულა $25^1/_2$ მილიონი მანათი; აქედგან კავკასიაში—649,000 მან; შუა-აზიაში—348090 და ციმბირში—855000 მან. ამიერ-კავკასიაში ყველა გუბერნიებზედ მეტი ხარჯი გაუწევია ტფილისისას—146,000 მან.

ევროპის რუსეთში [illegible] მყოფი მიდის 53,009 სულზედ; კავკასიაში-კი—305,000 სულზედ. რუსეთის იმავე ნაწილში 1 ექიმი ჰყოლია 9600 და 1 ფერშალი—9,200 მცხოვრებს; 1ბებია—3,600 მშობიარეს. კავკასიაში-კი 1 ექიმი—21,000 და 1 ფერშალი—11,600 მცხოვრებს; 1 ბებია—14,200 მშობიარეს. ვერაფერი სანუგეშო ცნობებია რუსეთისათვის და მეტადრე ჩვენთვის.

*** ხოლერა ევროპაში უფრო ღ უფრო ვრცელდება.ნანტში (საფრანგეთი) 13-დგან 27 ივლისამდე ავად გამხდარა 44, გარდაცვლილა 30; მარსელში 18—24 ივლისს 33 გამხდარა ავად. ნეაპოლში (იტალია) 19 და 20 ივლისს ავად გახდა 30, გარდაიცვალა 11.

*** ევროპის სახელმწიფოებთა მცხოვრებთ წერა-კითხვა არ სცოდნიათ:

| | |
|---|---|
| საქსონიაში. . . . . | 0,2% |
| ნორვეგიაში. . . . . | 0,3 „ |
| ბავარიაში . . . . . | 0,4 „ |
| შვეციაში . . . . . | 0,4 „ |
| პრუსიაში . . . . . | 0,6 „ |
| ფინლიანდიაში . . . | 1,9 „ |
| ინგლისში . . . . . | 9,0 „ |
| საფრანგეთში . . . . | 9,5 „ |
| ავსტრიაში . . . . . | 23,6 „ |
| იტალიაში . . . . . | 42,0 „ |
| რუსეთში . . . . . | 78,3 „ |
| სერბიაში . . . . . | 79,3 „ |
| რუმინიაში. . . . . | 82,0 „ |
| ბოლგარიაში . . . . | 85,0 „ |

ოსმალეთის შესახებ ცნობები არ არის.

*** აგვისტოს პირველიდგან ქალაქ ტფილისში ხორცისა და პურის ნიხრი შეიცვალა:

| | |
|---|---|
| ხორცი: საქონლისა გირვან. | 7 კაპ. |
| სუკი „ | 12 „ |
| ცხვრისა . . . . . . | 8 „ |
| პური: ფურნისა I ხარისხისა. | $4^1/_2$ „ |
| „ „ II „ . | 3 „ |
| „ „ III „ . | $2^1/_2$ „ |
| თონისა: I ხარისხისა (ჯვარის მამისა). . . . | 5 „ |
| „ II „ . | $3^1/_2$ „ |
| „ III „ . | 3 „ |
| ლავაში: I ხარისხისა (ჯვარის მამისა) . . | 7 „ |
| II „ . . | 4 „ |

*** ქ. გორი: ხოლერის ხმამ გორელები შეაფუცხუნა, თუმცა დაგვადაწმენდით-კი არა შეეტყო-რა. სანიტარულ კომისიის წევრები წინ-[illegible] მიდიან მიდამოებთან და ატყობინებენ მოემზადეთ, დასათვალიერებლად მოდიანო. ამ გვარის დათვალიერებით, რასაკვირველია, საქმე არ გაკეთდება. ქალაქის ბაღს ხუთი ფარანიკიდევ მოემატა, რადგანაც ძლიერ ბნელოდა და ამ წინაზედ ერთს ქალს შეურაცხყოფა მიაყენეს. გორელებს აქამდის ეს შემთხვევა სალაპარაკოდ აქვთ.

*** ს. თიანეთი: 28 მკათათვეს ს. თიანეთში შოთა-რუსთველის ძეგლისა და თიანეთის სკოლის სასარგებლოდ ჩვენმა ახალ-გაზრდობამ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბაიყუში“, კომედია ა. ცაგარლისა. დასასრულ, გამართეს დივერტისმენტი: წაიკითხეს სცენები, იმღერეს რამდენიმე ქართული ხმები და კომიკური კუპლეტები. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და მეტად ასიამოვნა ჩვენი საზოგადოება; განსაკუთრებითი ყურადღება დაიმსახურეს ქ-ნთ ოლგა და მარიამ ივანეს ასულებმა კეზელთ. ჩინებული იყო გასპარას როლში ბ-ნი ყაზახაშვილი, რომელმაც სრულის სინამდვილით წარმოგვიდგინა თვალწინ ნოქრის ტიპი. მოთამაშენი და მთელი საზოგადოება გულითადს მადლობას უძღვნის ქნ. ქეთევან დიმიტრის ასულს ჯანდიერისას, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა.

შემოსავალი იყო სულ 29 მან. 50 კ. 16 მანეთი ეგზავნება „ივერი-ს“ რედაქციას; დანარჩენი-კი ხარჯს მოუნდა და ზოგიც თიანეთის სკოლისათვის გადაიდო.

*** აბაშა (სენაკის მაზრა): შარშან, ხოლერის შემწეობით, ცოტად განიწმინდა აქაურობა, წელს-კი გადაჭარბებული სიბინძურეა, მეტადრე დუქან-სამიკიტნოების ახლო-მახლო. აქვე, ცხვირ წინ, ჰყრიან მყრალს ხორცს, ძვლებს, ნაგავს და სხ. იმას ხომ ნულარ ბრძანებთ, რა საჭმელი კეთდება ამ სამიკიტნოებში. აყროლებულს და დამატლებულს ხორცს მოგიხარშვენ და მოგართმევენ,—თუ არა გნებავს, ნუ მიირთმევო. რა ეთქმის მშიერ კაცს!

შარშან განიზრახეს აქ წყალის გამოყვანა დუქნების წინ და ეხლა დღეში ორას-სამასი კაცი მუშებს თხრილის ამოღებაზე.

ეხლა სცდილობენ კიდევ ფოსტის კანტორის დაარსებას. ნეტა არ იქმნება, მალე გვეშველებოდეს.

*** Нов. Обоз. დეპეშას მოელოდა იერუსალემიდგან სომეხთა-პატრიარქ კათალიკოზის გამოსვლის შესახებ 31 ივლისს, მაგრამ ჯერ არ მოსულია. გაზეთი სიივის, [illegible] საზოგადოდ ძალიან იგვიანებს დეპეშა, ოსმალეთიგან, გამოგზავნილი და ხან სულაც არ მოდისო.

*** 1 აგვისტოს პოლიციის მეათე ნაწილში ყარსის მცხოვრებელმა ყაზეემა იულია რიდეს სახლის გაქურდვა მოიწადინა, მგრამ მალე შეიტყეს და შეიპყრეს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბორჩხა** (ბათუმის ოლქი), 28 მკათათვე. ეხსომებათ «ივერიის» მკითხველთ, წინანდელი ჩემი წერილი შესახებ იმისა, რომ მურღულის ხეობაში (ართვინის ოლქში) მალაკნები უნდა დაასახლონ. ამ ხეობაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებმა თუმცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენეს და შესტირეს აქ მობრძანების დროს, არ გადმოასახლონ მალაკნებიო, მაგრამ, როგორც ახლა საქმით მტკიცდება, ეს თხოვნა-ვედრება არ იქმნა შეწყნარებული. ამის გამო იქმნა გამოგზავნილი ამ ხეობაში თვითონ ოლქის უფროსი თ. მ. ერისთავი და თ. ი. აბაშიძე (ართვინის უფროსი). ამათ უნდა დაეცლევინებინათ ორი აქაური სოფელი მალაკნებისათვის და ადგილობრივი მცხოვრებნი-კი შეეერთებინათ. სხვა სოფლელებთან. ესენი კიდეც ჩამოვიდნენ ოც ამ თთვეს მურღულის ხეობაში სოფ. არხვას, აქ უნდა გაეთიათ ღამე მეჲედ-აღასთან და მეორე დღეს წასულიყვნენ იმ სოფელში, საიდგანაც უნდა გადაესახლებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი. მეჲედ-აღას უდგია ორ-სართულიანი სახლი და, რა თქმა უნდა, ზემო სართულში მიიღო საპატიო და ძვირფასი სტუმრები. სტუმრებმა მიირთვეს ვახშამი და მოისვენეს. ნაშუაღამევს თ. ერისთავს უნდოდა ქვემო სართულში ჩასვლა და ბიჭების გამოღვიძება, გასაგზავნად სოფელში სამსახურისა გამო. ამ დროს ზემო სართულიდგან ჩაუტყდა პირველი კიბის ფიცარი და ჩავარდა ძირს. დაეცა იმ ადგილას, სადაც ტალახის ასაშორებლად ქვებია დაგებული. თითქმის ექვსის არშინის სიმაღლიდგან ძირს ქვაზე დაცემის ხმამ ფეხზე დააყენა მთელი სახლი. რასაკვირველია, მაშინვე გამოცვივდნენ გარედ და დიდის გაფრთხილებით ამოიყვანეს ზედა სართულში, სადაც დღესაც წევს ავადმყოფი. თუმცა ბევრს ეცადნენ სალაჯით ჩამოეყვანათ ჭოროხის პირამდის და იქიდგან ართვინს წაეყვანათ ნავით, მაგრამ ჯერ ვერ დასძრეს ადგილიდგან, რადგან ძალიან ნატკენი ჰქონია წელი და ხელ პირი. მოტეხით-კი არაფერი აქვს მოტეხილი.

ამისთანა უბედურ შემთხვევამ ძალიან შეაწუხა ყველანი და მეტადრე მასპინძელი და აქაურნი მკვიდრნი. მას აქეთ იმის წყევლა-ძაგებაში არიან, კაცი თუ ქალი, ვისთვისაც ამისთანა უბედური შემთხვევა მოხდა და ვინც იყო თ. ერისთავის ჩამობრძანების მიზეზი.

იმ თთვის 15-ს, ქ. ართვინის მახლობლად, სოფ. სკემას (ორი ვერსტის მანძილზეა ართვინიდგან) ვიღაცებს თურმე ორი ცხენი მოჰყავდა დატვირთული ევროპიულ საქონლით. ეს ამბავი ვიღამაც შეატყობი-

---

ულსის შემდეგ გამოჩნდება წელში გამართული, მხნედ მიმავალი დიდებული გლადსტონიცა. გაბრწყინვალებულმა, ოქრო-მკედითა და ფარჩა-ატლასით მოსილმა სიმრავლემ ცივად უტევა გზა და აქა-იქ მოისმა სტვენა. მოხუცმა დიდის გულ-დამშვიდებით, პირზე ღიმილით გადაჰხედა თავის მოძულე საზოგადოებას და ხმა-ამოუღებლივ გაიარა. დამსწრეთ თვითვე შერცხვათ თავიანთის უზრდელის საქციელისა. პრინცმა წერილი მისწერა გლადსტონს და შეუთვალა, დიდად ვსწუხვარ, რომ ისე უღირსად მოიქცნენ ჩემი მეგობარნიო. ინგლისის ერმა ხომ დიდად დაჰგმო მანიფესტანტები. „ერთი ორიოდე ამისთანა მანიფესტაცია კიდევ, წინააღმდეგობაც ლორდთა პალატისა ირლანდიის ბილლისა და მუშათათვის დღეში რვა საათის მუშაობის დაკანონებისა... და ვინ იცის, იქნება ერმა საუკუნოდ ბოლო მოუღოს ლენდლორდიზმსა და ზედა-პალატას! აზრი ადგილ-მამულის გადაქცევისა ერის საკუთრებად და ზედა-პალატის მოსპობისა დიდად მოსწონს ერსა და ბურჟუაზიას“. აი სწორედ ეს მითხრა მე ერთმა ფრიად ზომიერმა და კეთილ-გონიერმა ინგლისელმა.

არ ვიცი, რამდენად მართალია ჩემი ნაცნობი, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ ბალფურის შეუწყნარებელმა ლაპარაკმა პარლამენტში გლადსტონის სიბერის შესახებ, ჩემბერლენისა და ჩერჩილის ყვირილმა და გაწიწმატებამ, აგრედვე ლორდ სალისბერის მოწოდებამ ბელფასტის მკვიდრთა, წინააღუდექით ჰომრულს, თუნდ იარაღითა და მახვილითაცაო,—ვერაფერი სამსახური გაუწია კონსერვატორებს და უფრო გაამწვავა აზრი საზოგადოებისა მათ წინააღმდეგ.

საოცარი მოხუცი-კი, რომლის სიკვდილს დიდის იმედებით ელის ოპოზიცია, საკვირვლად მხნედ არის და არ ჰღალატობს თავის პროგრამას. გლადსტონი განხორციელებაა ინგლისებურ გენიოსობისა და ზედმიყოლებულის თანდათანობისა. იმის პროგრამაში ხსენება არ არის საფრანგეთის საპოლიტიკო მოღვაწეთა განყენებულის და ზოგად ფორმულებისა. კაცთ-მოყვარეულია და გულტკბილი და ამიტომ, დაიწყო თუ არა თავისი საპოლიტიკო მოღვაწეობა, ამ სამოცის წლის წინადვე თვისი სახელი დაუკავშირა ნამდვილის ადამიანის მოვალეობას—უნდა გავათავისუფლოთ დაჩაგრულნი ერნი და გავუფართოვოთ, გავუძლიეროთ უფლებანი მუშა-ხალხსაო. განთავისუფლება იონიის კუნძულების მკვიდრთა, გარევა ინგლისისა ნეაპოლის სამეფო საქმეებში და ალაგმვა „ყუმბარათა“ მეფის სისხლით შესვრილის რეაქციისა, პროტესტი პარლამენტში „ინგლისის ღირსებისა და ადამიანობის სახელით“ ინგლისის კომანდირების წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელნი ათას უმზგავსობას სჩადიოდნენ და აუარებელს სისხლს ჰღვრიდნენ ინდოეთში აჯანყების მოსასპობად 1857 წელს, აგიტაცია ოსმალთა ბარბაროსობის მოსასპობად ბოლგარიაში 1876 წელს, რეფორმა ფინანსებისა ინგლისში, გაუქმება პურის კანონებისა, პირველი საარჩევანო რეფორმა, მეორე რეფორმა 70-იან წლებისა, რომელმაც მიანიჭა უფლება კენჭის ყრაში ყოველს სრულ წლოვან ინგლისელს—აი ის დიდი საქმენი, რომელთანაც დაკავშირებულია წარსულში სახელი გლადსტონისა. „მან შთაბერა სული კაცთ-მოყვარეობისა ჩვენს გარეშე პოლიტიკას, მან დააყენა სადემოკრატო გზაზე ჩვენი სასახელმწიფო ცხოვრებაო“,—ამბობს „Daily Chronicle» იმ წერილში, რომელიც შეეხება გლადსტონის სამოც-წლოვანს საპოლიტიკო მოღვაწეობას.

W. Vasiani

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა მილიციის ჯარის კაცთა კამანდერს, კაპიტანს თ. ფ. მიქელაძეს. თ. მიქელაძემ წაიყვანა ათიოდე ბიჭი და წავიდა გზების დასაკავებლად. კონდრაბანდის პატრონებმა ბევრ ხანს არ აცდევინეს. ღამის ორ საათზედ კონდრაბანდის მიმქონებმა მოჰკრეს თვალი დარაჯს. კანვოებმაც დაინახეს ერთის ვერსის მანძილზე ორი დატვირთული ცხენი. რასაკვირველია, გაექანნენ იქითკენ, მაგრამ კონდრაბანდის პატრონებმა დაუშინეს თოფი. მილიციონრებმაც იგივე პასუხი აგეს, და თითქმის 15 წამს გასტანა ორთავე მხრიდგან სროლამ. შეატყეს კონდრაბანდის პატრონებმა, რომ კონდრაბანდის გადარჩენა მოუხერხებელი იყო, ცხენებიდგან გადააგდეს კონდრაბანდა და თვითონ თავს უშველეს. გლახა გზისა და სიბნელისა გამო გამოკიდება იმათი არ შეიძლებოდა. ახლა, როგორც ვიცით, ექვსი კაცი მოჰყვებოდა თურმე ამ კონდრაბანდს და ორიც ცხენების პატრონები. იმ კონდრაბანდის გადმოსატანი სამოც-და-ცხრა მანათიანი ლირა მიუციათ და დამოჟნას ექვსას მანათად დაუფასებია ეს გამოპარებული საქონელი. ამ ფასის კონდრაბანდი არავის დაუჭერია ამ თოთხმეტის წლის განმავლობაში, თუმცა ამ ხელობას ბევრი პატივსა სცემს და ემსახურება გადაღმა მხარში.

თ. ი. ჯაიანი

---

## სტუდენტის შემთხვევა ვეიმარში

(ნემეცურიდგან)

1803 წ. მარიამობისთვეში ერთი ახალგაზდა იენის სტუდენტი, ანდრია სლუხოვინი, ტომით სლოვაკი (ვენგრიელი), კარგი მცოდნე ნემეცურის ენისა, ერთხელ იენიდგან ვეიმარის სანახავად წავიდა. ნახა ბევრი ღირს-შესანიშნავი ადგილები, მერე შევიდა ერთს პატარა ქუჩაში, სადაც მშვენიერი პატარა სახლები გარს ბაღებით იყო შემორტყმული. საშინელი სიცხე იყო. დადალულს ძლიერ მოსწყურდა. აქეთ-იქით იყურებოდა და ლუდის ტრახტირებს ათვალიერებდა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა. ამ დროს მხიარული სიცილი და ძვლის ბურთების რახრახი მოესმა. აჰა, იფიქრა, აი ტრახტირიც. ბაღის ალაყაფის კარები შეაღო, შევიდა შიგ, მიიხედ-მოიხედა და ერთს ადგილს ხის პალოები დაინახა, სადაც სამი კაცი კეგელს *) თამაშობდა. იმათ მახლობლად სავარძლებზე ქალები ისხდნენ და თამაშობას უყურებდნენ. დიდრონი ცაცხვები აჩრდილებდა იმ ადგილს. უკან მდელოში მოჩანდა კოპწია სახლი. ოჰ, რა მშვენიერებაა, წარმოსთქვა თავისთვის სტუდენტმა. საზოგადოებაც რიგიანია! ამ ვეიმარში, სითაც-კი მიიხედავთ, ხშირად ამისთანა პოეტურ კუთხეებს შეხვდებით. ბაღში მან ფანჩატური შენიშნა, შიგ შევიდა, დაჯდა მაგიდასთან და შეჰყვირა: ეი, ლუდი! ამ სიტყვებით, როგორც მან შენიშნა, მთელი საზოგადოების განცვიფრებული ყურადღება მიიქცია, ხოლო ყმაწვილებმა ქალებმა ერთმანერთს გადახედეს და საშინლად გადიხარხარეს. მაგრამ სლუხოვინმა ამაზედ წარბიც არ შეიხარა, იმ ნაირად უჩვენა თავი, რომ მათ ვითომ ყურადღებას არც-კი აქცევს. ამოიღო ჯიბიდგან ქისა და ჩიბუხი, თამბაქოთი აავსო, დააკვესა და აბედით მოუკიდა.

ამ დროს ერთმა იქ კეგელის მოთამაშეთაგანმა და შეხედულობით ავადმყოფმა, რომელიც სტუდენტმა, არ ვიცი რა მიზეზით, სახლის პატრონად მიიღო, თავისთან მახლობლად მჯდომს ყმაწვილ ქალს რაღაც უთხრა. ის საჩქაროდ სახლში გაიქცა, მალე დაბრუნდა ლუდით, რომელიც სტუდენტის წინ დასდგა და კომიკურის მოწიწებით წარმოსთქვა:

— მზად არის, ბატონო.

— მადლობელი ვარ, სთქვა სლუხოვინმა;—ეს რა ლუდია?

— ვეიმარისა, ბატონო!

სტუდენტმა ცოტა შესვა და ჩაილაპარაკა: ჰმ, მშვენიერი ლუდია!

— ჩვენ საუკეთესო ლუდს ვინახავთ, სთქვა ქალმა და ისევ ქალებთან გაიქცა, რომელნიც მას რაღაზედაც ეჩურჩულებოდნენ და ყველანი წინანდებურად იცინოდნენ.

სლუხოვინი აუჩქარებლად ჩიბუხს ეწეოდა და სვამდა მშვენიერს ლუდსა და ამავე დროს თვალ-ყურს ადევნებდა მოთამაშეთ. მეორე მათგანი მშვენიერი ყმაწვილი კაცი იყო, რომელსაც არწივებრივი ამპარტავნული სახის გამომეტყველობა ჰქონდა. მესამე, ტანად მცირე, ხანში შესული კაცი, რომელიც თავის მშვენიერის სახით და გონივრულის თვალებით კაცის გულს იზიდავდა, იდგა და ქალებს ეხუმრებოდა. რაც შეეხება მაღალს და გამხდარს სახლის პატრონსა—კეგელის მოთამაშეთაგანს— იმის თამაშობას ჩვენი სტუდენტი მთლად მოთმინებიდგან გამოჰყავდა. რამდენსაც ესროდა ძვლის ბურთსა, იმდენი პუდელი მოსდიოდა. **) ყმაწვილი ქალები, როგორც ემცნეოდათ, სახლის პატრონის თამაშობის უცოდინარობით დიდად სიამოვნებდნენ, რადგან, როცა-კი თამაშობაში შეცდომა მოუვიდოდა, მხიარულად ჰყვიროდნენ: პუდელია! პუდელია! პუდელი! სლუხოვინმა ამგვარის შეუბრალებლად თამაშობის ყურება ვეღარ შესძლო, მივიდა მოთამაშეებთან და უცოდინარს მოთამაშეს ასწავლა, როგორ უნდა ესროლა ძვლის ბურთი.

— ოჰო, გეტყობათ, კეგელის თამაშობაში თქვენ დახელოვნებული იქმნებით!

სტუდენტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მე გახლავარ სტუდენტი იენიდგან.

— მეც ასე ვფიქრობდი... რასა სწავლობთ?

— ფილოლოგიას.

— თქვენ, გემცნევათ, იენშიაც დიდი ხანი არ გიცხოვრიათ?

— არა უმეტეს ერთის თთვისა. ეხლა მე მოვიფიქრე ვეიმარის ნახვა, ამ აწინდელის ათინისა, სადაც ბრწყინავენ დიდნი მეცნიერნი, რომლებთანაც, იქნება არც-კი მიუშვან ჩვენისთანა უბრალო სლოვაკი.

— ა... თქვენ სლოვაკი ხართ?

— დიახ, ვენგრიელი სლოვაკი, პრესბურგის კომიტეტიდგან, ანდრია სლუხოვინი.

— სლუ... როგორა? სლუხოვინი... მომიტევეთ, თქვენი გვარი მეტად ძნელია გამოსათქმელად... მიიღეთ მცირედი შრომა ბ-ნო სლუ... და სხ. და თუ შეიძლებოდეს, ჩემს მაგიერ ითამაშეთ, მე საშინლად დავიღალე.

— თუ მოთამაშენი თანახმა იქნებიან...

— ძალიან კარგი, სთქვა მომცრო ტანისამ. მაღალმაც თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

სტუდენტმა აიღო ძვლის ბურთი, ერთის ხელის მოქნევით ესროლა ხის პალოებს.

— სულ ცხრავე! ბარაქალა! ბარაქალა! ბარაქალა! შესძახეს ყმაწვილმა ქალებმა და ტაში დაჰკრეს.

— მართლაც, ბ-ნო სლუ... თქვენ დახელოვნებული მოთამაშე ყოფილხართ.

ამ ნაირად სლუხოვინმა, თავის რწმუნებულის მაგიერ ნახევარ საათის განმავლობაში მოიგო ერთი რიგი თამაშობისა და ჯერ კიდევ არ იცოდა იმათი სახელები, რომლებთანაც თამაშობდა. უცებ ყმაწვილმა ქალმა, ლუდის მომტანმა, მომხიბლავის ხმით დაიძახა: სადილი მზათ გახლავთ ბ-ნებო! ჩვენმა სტუდენტმა მიიხედა და დაინახა, რომ მაგიდა მომზადებული იყო მდიდრულის სუფრის მოწყობილობით. ეხლა-კი დროა, სთქვა სტუდენტმა, გავუსწორდე დანახარჯში და გავშორდე, და ამოიღო ჯიბიდგან ქისა.

— რას შვრებით, ბ-ნო სლუ... ფული ისევ ჯიბეში ჩაიდეთ.

— უნდა გადვიხ...

— როგორა გგონიათ მერე, სადა ხართ თქვენ?

— მე მგონია, რომ საზაფხულო ტრახტირში. მთელმა საზოგადოებამ ამ სიტყვებზედ მეგობრულად გადიხარხარა. ამან მთლად გადარია ჩვენი საწყალი სტუდენტი.

— და მე მეტრახტირეთ მიმიღეთ? ჰკითხა მხიარულად გამხმარმა კაცმა.

— უნდა გამოგიტყდეთ, ბ-ნო სლუ... სლუ... და სხ., მე სრულებითაც არა ვარ რესტორანის პატრონი,—მე ვარ ნემეცის პოეტი, ხოლო ჩემი სახელი შილლერია.

— ღმერთო ჩემო! განა შეიძლება, წაიბუტბუტა ყმაწვილმა კაცმა.— არა, თქვენ უეჭველად ხუმრობთ?

სრულიადაც არა, ჩემო ძვირფასო, ბ-ნო სლუ... და სხ., იმათ, რომელთანაც თქვენა სთამაშობდით, შეუძლიანთ ჩემი სიტყვები დაამტკიცონ.

— დიაღ, მე ჩემს თავზე ვიღებ მაგ სიტყვების ჭეშმარიტებასა, თუკი დაერწმუნებით თქვენ გიოტეს?

— მაგის სიტყვები იმდენადვე მართალია, როგორც ისა, რომ მე ვილანდი მქვიან, ყელში ხარხარით წამოიძახა ხანში შესულმა კაცმა.

შემკრთალი სლოვაკი აქეთ-იქით იხედებოდა. ხომ არა მძინავსო, წაიღუღუნა—ჩემს საბედნიეროდ შემხვდა ისეთი დრო, როდესაც ერთად ვხედავ სამს დიდებულს მწერალს გერმანიისას, შემოქმედთ: „ორლეანის ქალისას“, „ვერტერისას“ და „ობერონისას“.

— დიაღ, ბ-ნო სლუ... და სხვ. უკეთუ თქვენ ამითი ისიამოვნეთ, გთხოვთ ჩვენც უარი არ გვითხრათ, გვასიამოვნოთ და ჩვენთან ერთად ისადილოთ.

სლუხოვინს, რომელიც ასეთს საუცხოვო საზოგადოებაში ჩავარდა, რასაკვირველია, ბევრი თხოვნა აღარ მოუნდა, მადლობელი იყო თავის შემთხვევისა. სლუხოვინმა, განმხნევებულმა რეინისა და შამპანურის ღვინით, მღერა დაიწყო თავის მადლის მოძახილით პატივსაცემლად საყვარელის სახლის პატრონისა და მის უკვდავ ნაწერთა. თავის საკვირველის ხმით მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

— ოჰ, ბ-ნო სლუ... სლუ.. და სხ., სთქვა გიოტემ, თქვენ საოცარი ხმა გქონიათ, თქვენ უნდა იყვნეთ სცენაზედ, ოპერაში!

— სამწუხაროდ მე ეს არ შემიძლიან, რადგანაც ამ ცოტა ხანში მე მივილე ჩემს სამშობლო ქალაქში სტიპენდია იმ პირობით, რომ შემდეგ იქ მასწავლებლად უნდა ვიყო.

ახალგაზდა სტუდენტი სახლში გვიან დაბრუნდა და მთელი ღამე არა სძინებია, რადგან სულ თავის შემთხვევაზედ ჰფიქრობდა. ანდრია სლუხოვინი ბოლოს პრესბურგის სასწავლებლების დირექტორად იყო დანიშნული. ეს ამბავი თავის ხელით არის დაწერილი.

მ. ი. ი.

*) ერთგვარი თამაშობაა.

**) აცდენა თამაშობაში.

---

## რუსეთი

მთელს რუსეთში ეხლა დიდი მითქმა-მოთქმაა სადამოჟნო ცვლილებათა გამო. ამ გარემოებას აგრეთვე დიდს ყურადღებას აქცევენ გაზეთებიც და სხვათა შორის სწერენ, რომ იმ თავიდგანვე, როცა-კი რუსეთის მთავრობას უთანხმოება მოუვიდოდა სხვა სახელმწიფოებთან, ყოველთვის ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა თავად-აზნაურობასა და გლეხობასაო. სხვა წოდების ხალხისათვის-კი, მაგალითად, მწარმოებელთათვისა და ვაჭრებისთვის ეს უთანხმოება სასარგებლოც-კი იყო ხოლმე. უეჭველია ეხლაც ასე მოხდება. გერმანიისა და რუსეთის მთავრობათა შორის ატეხილი სადამოჟნო ომი—მხოლოდ თავად-აზნაურთა და გლეხობისათვის იქმნება საზარალო, თუ მთავრობამ შესაფერი ღონისძიება არ იხმარა. რადგანაც საზღვარ გარედ პურის გატანა შემცირდება, პურის ფასი დაეცემა და თავად-აზნაურთ სწორედ ამ მიზეზის გამო გაუძნელდებათ ბანკის ვალის გადახდა. პურის სიიაფე აზარალებს აგრეთვე გლეხსაც, რადგანაც იძულებული შეიქმნება მთელი მოსავალი გაჰყიდოს სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად, თითონ პური არ დარჩება საკვებად და მომავალ წელს „ნედოიმკაც“ დააწვება. ამიტომ საჭიროა, ორი ღონისძიება იქმნას მიღებული: ა) ბანკებში დაგირავებულ მამულების პატრონ თავად-აზნაურთ მიეცეთ შეღავათი, რომ 6 თთვით მაინც შეეძლოთ დააგვიანონ ვალის შეტანა; ბ) გლეხებს სახელმწიფო ხარჯი გამოერთვათ პურით, იმ ფასად, რა ფასიც ედო პურსა, ვიდრე გერმანიასა და რუსეთს შორის საბაჟნო ომი გამოცხადდებოდა.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის პარლამენტის ქვემო პალატის უკანასკნელ კრებაზედ რადიკალმა სტორიმ ხმა აამაღლა წინაამდეგ ლორდთა პალატის უფლებისა. ორატორმა სხვათა შორის მოახსენა საზოგადოებათა პალატას, რომ ერის კეთილდღეობისათვისა და ახალ კანონების განხორციელებისთვის სასურველია დაწესდეს, რომ თუ ვინიცობაა ბილლი, რომელიც ქვემო პალატამ ორჯერ მიიღო, ლორდთა პალატამ უარჰყო და ქვემო პალატამ მესამედ განხილვის შემდეგაც შეიწყნარა და მთავრობამაც დაამტკიცა,—ეს ბილლი კანონად იქმნას მიღებულიო. ორატორი ამტკიცებდა კიდევ: იმის მაგიერად, ეხლა რომ ამაოდ ვსცდილობთ ლორდთა პალატის გაუქმებას, უკეთესი იქმნებოდა ზემოხსენებულს საშუალებას მივმართოთო. ორატორს მიემხრო დეპუტატი სნეპი, ხოლო დარლინგი-კი წინაამდეგი იყო. კრება დაიშალა, რადგანაც პალატის ყველა წევრნი არ იყვნენ იმ დღეს შეკრებილნი და, მაშასადამე პალატა ვერც ერთს გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა.

— ინგლისის ერთმა მემამულემ, გრაფინია კარლეილმა, რომელსაც დიდძალი მამული აქვს ბრიტანიაში, ბრძანება გამოსცა ჩემს მამულებსა და მაღნებში მუშებმა დღეში მხოლოდ რვა საათი იმუშაონო. ქ-ნი კარლეილი ამტკიცებს, მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ჩემთვისაც უფრო სასარგებლოა, მუშები დღეში 8 საათზედ მეტი არ ვამუშავოვო. ჰფიქრობენ, რომ სხვა მემამულენიც მიჰბაძავენ ქ-ნ კარლეილსა.

**საფრანგეთი.** ამ დღეებში საფრანგეთის აკადემიამ განიხილა მოხსენება პარიჟის სკოლების რექტორის გრეარისა. გრეარი სთხოვდა აკადემიას, შეცვლილ იქმნას ფრანგულ ენის ორფოგრაფია. აკადემიამ ეს მოხსენება შეიწყნარა. წინაამდეგი იყო მხოლოდ ოთხი წევრი აკადემიისა: ლეკონტი, ლილი, კოპპე, ომალის ჰერცოგი და რუსსი. იმედი აქვთ ეს რეფორმა ძლიერ გაუადვილებს მოწაფეთ ფრანგულის წერის სწავლასა.

---

## წვრილი ამბავი

ჩინეთმაც გაჰბედა ამ ბოლოს დროს რკინის გზის გაყვანა რუსეთის საზღვარზედ, თუმცა ძლიერ ძნელი იყო ჩინელთათვის ამისი გადაწყვეტა. მაინც ვერ გაჰბედეს, რომ უცხოეთიდგან გამოეტანათ დამზადებული სარკინისგზო მასალა და თვით გამართეს ქარხანა. ამ ქარხანაში ამზადებენ საჭირო მასალას და მერე გაიყვანენ გზას. ამ ქარხანისათვის გამოიწერეს ევროპიდგან 700,000 გირვანქა სტერლინგის მანქანები. ქარხანაში მხოლოდ რამდენიმე ევროპიელი ტეხნიკი ჰყავთ მიწვეული. დანარჩენი მომუშავე-კი სულ ჩინელები არიან.

—შვეიცარიის ჩრდილოეთი ნაწილის საზოგადოებამ განიზრახა ახალი კანონი შემოიღოს. ამ კანონით აღიკრძალება ცოცხალ კიბოების მოხარშვა,—ჯერ უნდა მოჰკლათ ან დაასოლოთ და ისე მოხარშოთო.

—ჩიკაგოს გამოფენაზედ ჟურნალისტთა კონგრესიც არის. ამ კონგრესის ანგარიშში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ ამერიკის ჟურნალისტთა საზოგადოებას 400 მილიონი მანეთი ჰქონია.

ზოგიერთ გაზეთებს 10 მილიონი მანათი აქვს წლიური შემოსავალიო.

—ამერიკის შერთებულ შტატებში ეხლა 110 ვექილი ქალია 23 შტატში; რვა მათგანი უმაღლეს სასამართლოებში არიან.

### წერილი რედაქციის მიმართ

ივლისის 22-ს ს. ბანძას (სენაკის მაზრა) სცენის მოყვარეთაგან გამართული იყო წარმოდგენა საქველ-მოქმედო დანიშნულებით. წარმოადგინეს: „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“—ზ. ანტონოვის კომედია, „რაც არ მერგება—არ შემერგება“—ვ. გუნიას კომედია, და „მონადირე“—მისივე ვოდევილი.

წარმოდგენამ ხალისიანად ჩაიარა, ისე რომ საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა შინა. შემოსავალი მცირე იყო, მაგრამ სასიამოვნო უფრო ის არის, რომ წარმომადგენლებთაც და მაყურებელთაც ჰქონდათ სახელმძღვანელოთ ის აზრი, რომ ჩვენის თავის გართობით, ჩვენს მოძმესაც დავეხმარებითო.

შემოსავალი იყო 35 მ. წარმოდგენის სხვა-და სხვა საჭიროების გამო დაიხარჯა 15 მ. და რედაქციას ეგზავნება 20 მ. დანიშნულების აღსასრულებლად.

წარმოდგნის გამგენი

## დეპეშა

31 ივლისი

**ვენა.** გუშინ გათავდა ბროდახში კონფერენცია რუსეთისა და ავსტრიის რკინის გზების წარმომადგენელთა შესახებ იმისა, რომ შემოღებულ იქმნას ტარიფი ხორბლეულობისა, რომელსაც ტრანზიტით გაატარებენ.

**ლონდონი.** ბომბეიდგან იუწყებიან, რომ ღამე მკვიდრთა უბანში ყველას მაგრა ჰქონდა კარი ჩაკეტილი; ქუჩები ცალიერი იყო; ევროპისა და ინდოეთის ჯარმა არტილერია-კავალერიითურთ დაიჭირა ყველა ქუჩები ქალაქისა. მკვიდრთა უბნის ქუჩების შესავალში ზარბაზნები დააყენეს. გუშინ შეტაკების დროს ცოტა იქმნა მოკლული, ხოლო დაჭრილია ასობით. 4 ინდუსების ტაძარი და ორი მეჩეთი დაქცეულია საძირკვლამდე.

1 აგვისტო

**პეტერბურგი.** სოხუმის ეპისკოპოსი აგათოდორი დანიშნულ იქმნა სტავრაპოლის ეპისკოპოსად.

გერმანიის მიერ მომატებული ბაჟი რუსეთიდგან გერმანიაში გასატანსაქონელზედ შეეხება აგრეთვე ხეტყესაც. რუსეთიდგან გერმანიაში გატანილ საქონლიდგან, თითქმის 40% ხე-ტყეს შეადგენს. ბაჟის მომატება დიდს ზარალს მისცემს იმ მწარმოებელთ, რომელთაც უკვე გაუგზავნიათ ხე-ტყე გერმანიაში და ეს ხე-ტყე ჯერ ისევ გზაშია. ამ ზარალის ასაცდენად 7 აგვისტოდგან შემცირებულ იქმნება $^1/_{120}$-ად ტარიფი ხე-ტყისა იმ რაოდენობაზედ, რომელიც განზრახვა ჰქონდათ მწარმოებელთ გერანიაში გაეგზავნათ.

**ლონდონი.** ბომბეიში უწესოება ძლიერდება; უწეოების მოსასპობად მიწვეულია ჯარები და 300 ჟანდარმი; მაგრამ ეს ჯარი ვერას აწყობს. დღეს მოკლულ იქმნა 8 კაცი და ასობით დაიჭრა; ჯარი ჩაერია საქმეში და აჯანყებულთა შორის ძლიერ ბევრი მოჰკლეს, დასჭრეს და მრავალი დააპატიმრეს. ელოდებიან გუბერნატორის მოსვლას. ქარხნებში მომუშავე ინდუსები მუშაობას თავს ანებებენ და მიისწრაფიან მაჰმადიანების დასახოცად.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,66}$ | $7_{,69}$ | -- ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $152^3/_4$ | $153^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — , | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $241^1/_4$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა | $225^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | $194^1/_4$ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე ჯკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის რ ა ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი


**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი ვრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |

### გამოსადეგი ცნობანი
### პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

ჩ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვესა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. შ. კარაშეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„ნევის პარიზებ“

დუხები—„ნ ე ვ ი ს პ ა რ ი ზ ი“
ოდეკოლონი—„ნ ე ვ ი ს პ ა რ ი ზ ი“
საპონი—„ნ ე ვ ი ს პ ა რ ი ზ ი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სახ. ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„პაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—9)

Leichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

**ლ. ლეიხნერი, ბერლინში,**

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. 6—6

გმოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

ვალერიან გუნიასი

# დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**


Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Августа 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე